სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა

CPV _ 66500000

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე

ქ. თბილისი
2016

სატენდერო დოკუმენტაცია

1. <u>შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება -</u> **<u>11 580 ლარი დღგ-ს გარეშე.</u>**
2. <u>შესყიდვის ობიექტი</u>: **დანართი №1**

გასაწევი მომსახურების დასახელება	**სადაზღვევო პრემიის ღირებულება ერთი კალენდარული თვის განმავლობაში**	**სადაზღვევო პრემიის ღირებულება 12 კალენდარული თვის განმავლობაში**	**მომსახურების გაწევის ვადა**
სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა			

<u>შენიშვნა:</u> დასაზღვევი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემები და საბაზრო ღირებულება მოცემულია დანართ №4-ში.

<u>გასაწევ მომსახურებაზე განსაკუთრებული მოთხოვნები:</u>

სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა უნდა მოიცავდეს შემდეგ შემთხვევებს:

- დაზღვეული ავტომანქანის ფიზიკურ დაზიანებას ან გატაცებას (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, ქურდობა, ძარცვა, გატაცება ყაჩაღობა და აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის მცდელობა,ხანძარი, თვითაალება, სტიქიური უბედურებები (სეტყვა),ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება გარეშე საგნების დაცემით, დამატებითი აქსესუარების: მინების, სარკეების, დეტალებისა და აქსესუარების დაზიანება ან ქურდობა);
- მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევას: კერძოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომას - ლიმიტით 20 000 (ოცი ათასი) ლარი თითოეულ ავტომობილზე;
- დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევას;
- დაზღვევა უნდა მოიცავდეს უფასო ლაფეტის (ევაკუატორის) მომსახურებას;
- დაზღვევა უნდა მოიცავდეს 24 საათიან მომსახურებას (ასისტანსს);
- სადაზღვეო შემთხვევის არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვადა (ზიანის ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმეტნაციის სრულყოფილად არსებობის შემთხვევაში) არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) სამუშაო დღეს;
- ავტოტრანსპორტი ჩაითვლება განადგურებულად როცა ამ ავტომანქანის აღდგენითი შეკეთების ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისი რეალური (საბაზრო) ღირებულების 70%-ზე მეტს ან ავტომანქანა გატაცებულია და მისი პოვნა ვერ მოხერხდა;
- სრული დაზიანების შემთხვევაში მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება ან მოახდინოს მსგავსი ავტომობილით ჩანაცვლება;
- ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომობილის წლოვანება შეადგენს 4 წელზე ნაკლებს მზღვეველი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეფასება და მომსახურების გაწევა მოახდინოს შესაბამისი მარკის ავტორიზებულ სერვის ცენტრში;
- სხვა შემთხვევაში 4 წლისა და მეტი ხნოვანების ავტომანქანების ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, სერვის ცენტრ(ებ)ის შერჩევა განხორციელდება ურთიერთშეთანხმებით;
- მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა:
    - ლიმიტი ავტომობილებზე 40 000 ლარი;
    - ლიმიტი ერთ ადამიანზე 10 000 ლარი;
- ფრანშიზა დამდგარი ზარალის 10%, მინიმუმ 150 ლარი.

3. **<u>წინადადების ფასი:</u>**

3.1 წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზრვრული ყველა გადასახდელის გათვალისწინებით.

წინადადების ფასი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე.

3.2 ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

3.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება წინადადების ფასის დღგ-ს შესაბამისი ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.4 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება აშშ დოლარში, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული ვაჭრობის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად დაკორექტირებული ფასების ცხრილის (აშშ დოლარში) მიხედვით, ხოლო ანგარიშწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (რეზიდენტი პირების შემთხვევაში) მიღება-ჩაბარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

3.5 წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი.

3.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;

3.7 პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს.

4. მომსახურების გაწევის ვადა:

4.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში;

5.პრეტენდენტის ან მისი სუბკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოცდილება:

5.1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს **ანალოგიური მომსახურების** გაწევის გამოცდილება, რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: ხელშეკრულებ(ებ)ა და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

6. ანგარიშსწორების პირობები:

6.1 ანაზღაურება მოხდება კონსიგნაციის წესით, ყოველთვიურად, წარმოდგენილი ინვოისების საფუძველზე, ინვოისების წარმოდგენიდან 40 საბანკო დღის ვადაში. არ გამოიყენება ავანსი და აკრედიტივი.

7. სხვა მოთხოვნა:

7.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

7.2 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა);

7.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

7.4 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

8. პრეტენდეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

8.1 ფასების ცხრილი დანართი №1-ის შესაბამისად, გასაწევ მომსახურებაზე განსაკუთრებული მოთხოვნების გათვალისწინებით (პუნქტი 2);

8.2 პრეტენდენტისრეკვიზიტები დანართი №2-ის შესაბამისად;

8.3 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი განფასება, რომელშიც გაანგარიშებულ იქნება სადაზღვევო პრემიები სადაზღვევო წლიური ტარიფის მითითებით;

8.4 გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (პუნქტი 5);

8.5 სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია.

9. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში):

9.1 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული (პრეისკურანტის სავარაუდო

ღირებულება) საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა), პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის ან დამოუკიდებელი სერტიფიცირებული აუდიტორის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის/სერთიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;

- პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

<u>10. ინფორმაცია პრეტენდენტებისთვის:</u>

10.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, განახორციელოს სატენდერო განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი დაზუსტება/განმარტება.

10.2. შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

<u>საკონტაქტო პირი:</u>

სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი: <u>თამარ ხოკერაშვილი</u>
ტელ: (995 32) 219-90-14, მობ: 591-19-91-58, ელ_ფოსტა: tamar.khokerashvili@railway.ge;
მთავარი სპეციალისტი: ლევან ფულარიანი ტელ: (995 32) 219-89-08
მთავარი სპეციალისტი: კახა ბერძენიშვილი ტელ: (995 32) 219-97-75
მთავარი სპეციალისტი: გიორგი ლომიძე ტელ: (995 32) 219-98-27
მთავარი სპეციალისტი: ელგუჯა გოდერძიშვილი ტელ: (995 32) 219-91-04
მთავარი სპეციალისტი: ელენა მურადოვა ტელ: (995 32) 219-91-73

დანართი N2

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ა.შ.	

** აღნიშნული დანართი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.*

დანართი N3

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ----- ---------- 2016 წ.

ერთის მხრივ, სს ,,საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15 (შემდგომში _ შემსყიდველი, იგივე „დამზღვევი") და მეორეს მხრივ, ----------, წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, მისამართი: ---------- (შემდგომში _ მიმწოდებელი, იგივე „მზღვეველი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

შემსყიდველმა 2016 წლის ---------- გამოაცხადა და ---------- ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (#**SPA ----------**) ---------- ***მომსახურების შესყიდვის შესახებ,*** (CPV კოდი _ ----------), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება განახორციელოს ---------- (შემდგომში მომსახურება).

ხელშეკრულება ფორმდება აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2016 წლის ---------- (ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის) დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის (1 USD _ ---------- ლარი) მიხედვით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს _ ---------- აშშ დოლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით ---------- აშშ დოლარს (შემდგომში _ ხელშეკრულების ღირებულება).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება;

გ) ტექნიკური დავალება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) ამონაწერი სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდიდან ელექტრონული ტენდერის ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ;

ე) დანართი ხელშეკრულების ადმინისტრირების შესახებ;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდიდან ამონაწერი ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსის შესახებ;

ზ) ხელშეკრულების საერთო პირობები /რომელიც სტანდარტულია ყველა ხელშეკრულებისთვის/;

თ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის ----------

„შემსყიდველი«	„მიმწოდებელი»
სს ,,საქართველოს რკინიგზა”	----------
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15	----------
ს/კ 202886010	ს/კ ----------
სს ,,საქართველოს ბანკი”	სს “ბანკი ----------”
ა/ა GE09BG0000000128695301	ბანკის კოდი:
ბანკის კოდი: BAGAGE22	ანგარიშის # GE----------
	ტელ: -
	e-mail: ----------

---------- დირექტორი	----------

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს დოკუმენტაციისა და შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს

(გაფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას მომსახურების შესყიდვის შესახებ;

1.5"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 მოსარგებლე - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ ხელშეკრულების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას და მითითებულია პოლისში;

1.7 სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული წინამდებარე ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი საბუთი. პოლისი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა: თითოეულ დაზღვეულ ავტომანქანაზე გაიცემა ცალკე პოლისი.

1.8 ავტომანქანა - პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

1.9 დაზღვევის პერიოდი - პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია.

1.10 ფრანშიზა - ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ აანაზღაურებს.

1.11 სადაზღვევო ტარიფი - პროცენტული განაკვეთი, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო პრემიის ოდენობას სადაზღვევო თანხიდან.

1.12 სადაზღვევო პრემია (შემდგომში "პრემია") - თანხა, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს სადაზღვევო მომსახურებაში.

1.13 სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ოდენობას კონკრეტული ავტომანქანის მიხედვით.მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას მაქსიმალური სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დამზღვევის მიერ არჩეული ლიმიტით, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში/წინამდებარე ხელშეკრულებაში.

1.14 მოქმედების არეალი – სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორიული ფარგლები სადაც ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.

წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ტერიტორიული არეალია–საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

1.15 განაცხადი – დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გაკეთებული წერილობითი შეტყობინება (მზღვეველის დადგენილი ფორმით) შემთხვევის დადგომისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

1.16 სარჩელის აქტი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარებას და წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

1.17 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა - საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა, დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი.

1.18 უბედური შემთხვევა - შემთხვევითი და წინასწარ გაუთვლისწინებელი მოვლენა, რომელიც იდენტიფიცირებადია და რომელსაც ადგილი ქონდა დაზღვეული ავტომანქანის მართვისას.

1.19 სადაზღვევო შემთხვევა – ხდომილება, რომლის დადგომისას წარმოიშობა მზღვეველის პასუხისმგებლობა გადაუხადოს დამზღვევს/მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა.

1.20 სადაზღვევო რისკი – მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა.

1.21 მესამე პირი - პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების სუბიექტს და არ იმყოფება პოლისში მითითებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში.

1.22 დაზარალებული პირი – პირი, რომელიც მიიჩნევა დაზარალებულად საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების საფუძველზე, ასევე მისი მემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

1.23 ავტომანქანის მფლობელი - ნებისმიერი პირი, რომლის საკუთრებაშია ავტომანქანა ან მართლზომიერად განაგებს მას.

1.24 უფლებამოსილი მძღოლი - დამზღვევის თანამშრომელი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს და 65 წელზე ნაკლებია და რომელსაც გააჩნია მართვის მოქმედი შესაბამისი მოწმობა .

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. დაზღვევა (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

6.1 მიმწოდებლი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.5 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

8.2 ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

9.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

10. ანგარიშსწორების ვალუტა

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).

10.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

11. ფასები

11.1 მიმწოდებლის დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. სუბკონტრაქტორები

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

16.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

16.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი

ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

17.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

18.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

19. ფორს-მაჟორი

19.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

19.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით

და სხვა.

19.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. გამოყენებული სამართალი

21.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

23. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

23.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

23.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. გადასახადები და ბაჟები

24.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

24.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის

გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს და მას შეიმუშავებს შემსყიდველი ორგანიზაცია. მისი შედგენის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო პირობები და შემსყიდველის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი მომსახურების განხორციელება. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მეშვეობით ხორციელდება ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება, დაზუსტება და ცალკეული შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების დაკონკრეტება. ხელშეკრულების სპეციფიკურ, საერთო პირობებს და დანართებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.

1 ხელშეკრულების დამდები მხარეები

ხელშეკრულების მხარეები არიან:

შემსყიდველი _ სს "საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი ---------- დირექტორის ----------, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15.

მიმწოდებელი _ ----------, წარმოდგენილი მისი ----------, მისამართი: ----------

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება განხორციელდება ჯეროვნად, დროულად, შეუფერხებლად, კეთილსინდისიერად, სრულფასოვნად და განხორციელებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.2 განხორციელებულ მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს წარუდგინოს პრეტენზია ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრის ან შეცვლისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში აღმოფხვრას დეფექტი საკუთარი სახსრებით.

3.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4 მომსახურების განხორციელების პირობები და ვადები

4.1 სადაზღვევო დაფარვა

4.1.1. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე მზღვეველი უზრუნველყოფს შემდეგი სახის დაზღვევას:

- ავტოსატრანსპორტო საშუალების (შემდგომში "ავტომანქანა") დაზღვევა ფიზიკური დაზიანების და გატაცებისაგან;

- ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა - საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანისაგან;
- ავტომანქანის მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა - საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მძღოლისა და მგზავრებისათვის მიყენებული ზიანისაგან.

4.2 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს პოლისი ითვალისწინებს 24 საათიან ასისტანს, და დაზღვეული ავტომანქანის ავტოსადგომზე გადაყვანის ღირებულებას (ევაკუატორის მომსახურება).

4.3. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დანართი N4-ში ასახული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს წინამდებარე ხელსეკრულებით დადგენილი ტარიფების მიხედვით შესაბამისი პრემიის გადახდის პირობით .

4.4. დაზღვეული **ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების ან გატაცების შემთხვევაში** ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის არაანაზღაურებადი მინიმუმის (უპირობო ფრანშიზის) ოდენობა განისაზღვრება დამდგარი ზარალის 10 (ათი) %-ის, მინიმუმ 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4.5 ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება ან გატაცება
ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება

4.5.1. ამ დაზღვევით დაიფარება ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, ქურდობა, ძარცვა, გატაცება ყაჩაღობა და აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის მცდელობა,ხანძარი, თვითაალება, სტიქიური უბედურებები (სეტყვა),ავტომანქანის ფიზიკური დაზიანება გარეშე საგნების დაცემით, დამატებითი აქსესუარების: მინების, სარკეების, დეტალებისა და აქსესუარების დაზიანება ან ქურდობა.

4.5.2. სადაზღვევო ანაზღაურების თანხას მზღვეველი უხდის დამზღვევს/დაზღვეულს/მოსარგებლეს (პოლისის მიხედვით), ან მათ მიერ მითითებულ პირს.

4.5.3. ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, ზიანის თანხა განისაზღვრება შემთხვევის დადგომის დროს დაზიანებული ავტომანქანის აღდგენითი (შენაცვლებითი) ღირებულების ოდენობით.

თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის (არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად (სსკ-ს 827 მუხლი).

4.5.4. სრული ზარალის შემთხვევაში, ზიანის თანხა განისაზღვრება ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულებას გამოკლებული ცვეთა, ფრანშიზა, სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილი, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა, რომელიც მითითებულია პოლისში.

4.5.5. ავტომანქანის ფიზიკური დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურების თანხას აკლდება ფრანშიზა და ამ მომენტისათვის არსებული სადაზღვევო პრემიის მიმდინარე დავალიანება (ასეთის არსებობისას).

4.6. ავტომანქანის გატაცება

4.6.1. ამ დაზღვევით დაიფარება დაზღვეული ავტომანქანის გატაცება პოლისში/წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტერიტორიულ არეალში, რომლის მიზეზია ქურდობა, ძარცვა ან ყაჩაღობა.

5.2.2. დაზღვეული ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მზღვეველი, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით გადაუხდის სადაზღვევო თანხას დამზღვევს/მოსარგებლეს (პოლისის მიხედვით).

5.2.3. დაზღვეული ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, ზიანის თანხა განისაზღვრება ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულებას გამოკლებული ფრანშიზა, სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილი, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა, რომელიც მითითებულია პოლისში.

4.7. საგზაო–სატრანსპორტო შემთხვევის დადგომისას (ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში):

4.7.1. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს:

1. მზღვეველს საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე ---------- დაუყოვნებლივ დაკავშირება:
2. საპატრულო პოლიციის (112) დაუყოვნებლივ გამოძახება;
3. ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის/ზემოქმედების ქვეშ ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმება ან/და ალკოტესტით შემოწმება.

ზემოაღნიშნულის შეუსრულებლობა გამოიწვევს მზღვეველის მხრიდან სარჩელის განხილვაზე უარის თქმას.

4.7.2. დამზღვევი ასევე ვალდებულია:

1. არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 72 საათის განმავლობაში წარუდგინოს მზღვეველს განაცხადი მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ;
2. წარუდგინოს მზღვეველს დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის/ზემოქმედების დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. წარუდგინოს მზღვეველს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ოქმთან თანდართული სქემა, ახსნა-განმარტებები, პოლისი, სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის და პირადობის მოწმობები;
4. წარუდგინოს მზღვეველს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. მზღვეველის წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაიწყოს ავტომანქანის შეეკეთება/აღდგენა.

4.7.3. მზღვეველი უფლებამოსილია:

1. თავად დაათვალიეროს დაზიანებული ავტომანქანა.
2. დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერების მიზნით მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი.

4.8 დაზღვეული ავტომანქანის გატაცებისას:

4.8.1. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მზღვეველს საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე ---------- დაკავშირება და საპატრულო პოლიციის (112) დაუყოვნებლივ გამოძახება;

4.8.2. დამზღვევი ასევე ვალდებულია, არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 72 საათის განმავლობაში წარუდგინოს მზღვეველს განაცხადი მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ და წარუდგინოს:

1. ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ავტომანქანის გასაღები
3. პოლისი, სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის მოწმობა;
4. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების ასლი; ცნობა აღნიშნულ საქმეზე არსებული მდგომარეობის შესახებ; დაკარგულ ავტომანქანაზე გაცემული ნებისმიერი მინდობილობის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.8.3. აუცილებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

4.9. მხარეთა ურთიერთობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

4.9.1. ავტოტრანსპორტი ჩაითვლება განადგურებულად ძაძინ, როცა ამ ავტომანქანის აღდგენითი შეკეთების ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისი რეალური (საბაზრო) ღირებულების 70%-ზე მეტს ან ავტომანქანა გატაცებულია და მისი პოვნა ვერ მოხერხდა.

4.9.2. სრული ზარალის შემთხვევაში, მზღვეველი, ყველა საჭირო დოკუმენტების/ნივთის წარმოდგენის შემდეგ, გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 4.6 პუნქტის თანახმად.

4.9.4. დამზღვევთან შეთანხმებით მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ჩაანაცვლოს ანალოგიური სატრანსპორტო საშუალების გადაცემით სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ფარგლებში.

4.9.5. სრული/არასრული ზარალის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდის შემდგომ, დამზღვევი ვალდებულია გადასცეს დაზიანებული ავტომანქანა/მისი ნაწილები მზღვეველს ან მის მიერ მითითებულ პირს საკუთრების უფლებით.

4.9.6. სრული ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულება/პოლისი ამ ავტომობილის მიხედვით წყვეტს მოქმედებას.

4.9.7 ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანის წლოვანება შეადგენს 4 წელზე ნაკლებს მზღვეველი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების შეფასება და მომსახურების გაწევა მოახდინოს შესაბამისი მარკის ავტორიზირებულ სერვის ცენტრში. სხვა შემთხვევაში 4 წლისა და მეტი წლოვანების ავტომანქანების ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, სერვის ცენტრ(ებ)ის შერჩევა უნდა განახორციელოს ურთიერთშეთანხმებით.

4.10. დამატებითი პირობები

4.10.1. დაზღვეული ავტომანქანის გასხვისებისას დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მზღვევლს აღნიშნულის შესახებ არაუგვიანეს გასხვისებიდან **5** (ხუთი) სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება ან გადასცეს მისი, როგორც დამზღვევის უფლებები და ვალდებულებები შემძენს, ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო დამზღვევს რჩება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებისა და/ან სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირობებით.

ანალოგიური პირობა მოქმედებს დაზღვეული ავტომანქანის დროებით სარგებლობაში (იჯარა, ქირავნობა) გადაცემისას.

4.10.2 დაზღვეული ავტომანქანის სხვა დაზღვევის არსებობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანი ანაზღაურდება პროპორციულად, იმ პირობით, რომ დამზღვევი ვერ მიიღებს ჯამში რეალურ ზიანზე მეტ თანხას.

4.11. **ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები**

ამ დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი დაკავშირებული შემდეგ გარემოებებთან:

4.11.1. დაზღვეული ავტომანქანა გატაცებულია მასში დატოვებული ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით;

4.11.2. გატაცება ან ფიზიკური დაზიანება, გამოწვეულია მესამე პირის მიერ დაზღვეული ავტომანქანის ხელში ჩაგდებით უფლებამოსილი მძღოლის მოტყუებით/თაღლითობით; მძღოლის ხელშეწყობით;

4.11.3. საბურავების დაზიანება გახევის, გახვრეტის ან გაჭრის შედეგად, თუ ამის მიზეზი არ არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

4.11.4. დაზღვეული ავტომანქანის გაუფასურება ბუნებრივი მიზეზებით, საბაზრო ფასის ცვლილება.

4.11.5. ავტომანქანის დაზღვევამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სამუშაოები;

4.11.6. ცვეთა, მექანიკური, პროგრამული ან ელექტროობის გაუმართაობა;

4.11.7. საკეტების გამოცვლა, თუ გასაღებები მოპარულია ან დაკარგული;

4.11.8. წყლით დაზიანება გარდა სტიქიური უბედურებებისა;

4.11.9. დაზღვეულ ავტომანქანაში არსებული ნივთების, მათ შორის არაქარხნულად დამონტაჟებული აუდიო, ტელე და რადიო აპარატურის, კასეტების, კომპაქტ დისკების, ტელეფონების, ფულის, დოკუმენტების და ა.შ. დაკარგვა;

4.11.10. ნებიმისმიერი სხვა ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ავტომანქანის ფიზიკურ დაზიანებას (ადმინისტრაციული ჯარიმა, მივლინების ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი და ა.შ.).

4.12 ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

4.12.1. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა, კერძოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომას - ლიმიტით 20 000 (ოცი ათასი) ლარი თითოეულ ავტომობილზე დამზღვევის პასუხისმგებლობა. მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის დგება მხოლოდ მომხდარი მოვლენისა (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის) და მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობისას.

4.12.2. ამ დაზღვევით იფარება დამზღვევის პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მისი კუთვნილი ან მის კანონიერ სარგებლობაში მყოფი მზღვევლთან დაზღვეული ავტომანქანით მიყენებული ზიანი იმ ოდენობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებით და პოლისით, თუ ამ დროს ადგილი აქვს:

ა) მესამე პირის გარდაცვალებას ან სხეულის დაზიანებას;

ბ) მესამე პირის ქონების დაზიანებას.

ამ დაზღვევით დაიფარება ასევე სასამართლო ხარჯი, რომელიც გაწეული იქნება, მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, დაზარალებულის მოთხოვნისაგან დაცვისათვის, თუ ეს ხარჯები სადაზღვევო ანაზღაურების თანხასთან ერთად არ აღემატება სრულ სადაზღვევო თანხას, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

სადაზღვევო თანხის ფარგლებში მზღვეველი გადაიხდის დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯს შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის ფინანსური ხასიათის) დედნების წარდგენის საფუძველზე.

საგზაო–სატრანსპორტო შემთხვევის დადგომისას:

1. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს:

2. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე ----------;

3.საპატრულო პოლიციის (112) დაუყოვნებლივ გამოძახება;

4.ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის/ზემოქმედების ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმება ან/და ალკოტესტით შემოწმება.

ზემოაღნიშნულის შეუსრულებლობა გამოიწვევს მზღვეველის მხრიდან სარჩელის განხილვაზე უარის თქმას.

დამზღვევი ასევე ვალდებულია:

1. არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 72 საათის განმავლობაში წარუდგინოს მზღვეველს განაცხადი მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ;

2. წარუდგინოს მზღვევლს დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის/ზემოქმედების ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. წარუდგინოს მზღვეველს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ოქმთან თანდართული სქემა,ახსნა-განმარტებები, პოლისი, სადაზღვევო შემთხვევის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის და პირადობის მოწმობები;

4. წარუდგინოს მზღვეველს საგზაო-სატრანსპორტო შემთვევასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.12.3 ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული გამონაკლისები

ამ დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

1. დაზღვეული ავტომანქანის მძღოლის და ამ ავტომანქანაში მყოფი მგზავრების სიკვდილი ან სხეულის დაზიანება;
2. დაზღვეული ავტომანქანის დაზიანება;
3. მესამე პირის ქონებისათვის მიყენებული ზიანი, გამოწვეული დამზღვევის განზრახ ქმედებით;
4. დამზღვევისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება;
5. დაზღვეული ავტომანქანის გამოყენება აეროპორტის ან საფრენი მოედნის აკრძალულ უბნებში (არ დაიფარება თვითმფრინავისადმი მიყენებული ზარალი საფრენი მოედნის ფარგლებში).

4.13 **მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა**

4.13.1. მძღოლისა და მგზავრების საგზაო – სატრანსპორტო შემთხვევისაგან დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი მძღოლის ან/და მგზავრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

4.13.2. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვეულ ავტომანქანაში მყოფი მძღოლი და/ან მგზავრის/მგზავრების გარდაცვალება, სხეულის დაზიანება და/ან ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა საგზაო–სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად.

4.13.3. დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგი სქემის მიხედვით:

- ლიმიტი- 40000 (ორმოცი ათასი) ლარი თითოეულ ავტომანქანაზე;
- ლიმიტი -10000 (ათი ათასი) ლარი ერთ ადამიანზე.

4.13.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი იხდის ანაზღაურებას ქვემოთ მითითებული ცხრილის მიხედვით.

სადაზღვევო რისკი	**ანაზღაურების თანხა** (% ყოველ დაზღვეულზე გათვალისწინებული სადაზღვევო ლიმიტიდან)

4.13.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს მომხდარი შემთხვევის შესახებ, ხოლო შემთხვევიდან არაუგვიანეს 72 საათის განმავლობაში წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განცხადება მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. დამზღვევი ასევე ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტები:

1. დამზღვევის და მგზავრების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი საბუთების ასლები;
2. ცნობა საპატრულო პოლიციიდან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომის შესახებ;
3. სხეულის დაზიანების და ჯანმრთლობისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან - სამედიცინო ჩანაწერები (ფორმა N100) და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ანგარიშფაქტურა / კალკულაცია და/ან ქვითრები/სალაროს შემოსავლის ორდერი.
4. სპეციალისტთა კონსულტაციების, ლაბორატორიული-ინსტრუმენტული კვლევების პასუხები/დასკვნები;
5. ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში - შესაბამისი დაწესებულებიდან (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა) ოფიციალური დასკვნა, ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის მინიჭების თაობაზე;

6. გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა, "დაზღვეულის" სიკვდილის შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა;

შენიშვნა: სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გარდაცვლილის მემკვიდრეზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (სამემკვიდრო მოწმობა) და მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (პ/მ ან პასპორტი).

7. შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4.13.6. დამზღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

4.14 საერთო გამონაკლისები

ამ მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისები (გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ იქნება გადახდილი) ეხება დაზღვევის მთელ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებას და პოლისს).

წინამდებარე პირობებით არცერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება დანაკარგი, დაზიანება ან პასუხისმგებლობა, თუ:

4.11.1.დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;

4.11.2.მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის/ზემოქმედების ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.113.მძღოლი მართავს ავტომანქანას მართვის უფლების გარეშე (მათ შორის მართვის უფლების დროებითი შეზღუდვის/ჩამორთმევის პერიოდში);

4.114.დაზღვეული ავტომანქანა არ გამოიყენება იმ დანიშნულებით, რაც მითითებულია დამზღვევის მიერ შევსებულ განაცხად-კითხვარში;

4.11.5. ადგილი აქვს წყლით ძრავის შინაგან დაზიანებას;

4.11.6. დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში და სამაშველო სამასახურში;

4.11.7. დაზღვეული ავტომანქანა გამოიყენება პოლისში მითითებული მოქმედების არეალის გარეთ;

4.11.8. დაზღვეულ ავტომანქანაში მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს;

8.1.9. დაზღვეული ავტომანქანა გადატვირთულია;

4.11.10. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზღვეულ ავტომანქანას მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი (იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო დაფარვა ვრცელდება პოლისში ჩამოთვლილი უფლებამოსილი მძღოლების მიერ ავტომანქანის მართვისას);

4.11.11. ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდა (off road, test drive);

4.11.12. ავტომობილის კონსტრუქციული და საპროექტო დეფექტებით გამოწვეული ზარალი.

4.12. წინამდებარე პირობებით არცერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება დანაკარგი, დაზიანება რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

4.12.1. ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები იმის მიუხედავად იყო თუ არა ომი გამოცხადებული, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება და საზოგადოებრივი არეულობები;

4.12.2. მაიონიზებელი რადიაცია ან დაბინძურება დასხივებული საწვავით ან ბირთვული ნარჩენებით, ბირთვული საწვავის აალება;

4.12.3 ავტომანქანის არალეგალური მართვა;

4.12.4 რადიოაქტიური, ტოქსიკური, ადვილად აალებადი და ბირთვული დანადგარების სხვა სარისკო კომპონენტები;

4.12.5. თვითმფრინავით და სხვა მფრინავი ობიექტებით გამოწვეული ჰაერის ტალღები.

4.13. წინამდებარე დაზღვევით არ იფარება:

4.13.1 მძღოლის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ: თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით;

4.13.2 შემთხვევა დაკავშირებული მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, ან ეპილეფსიურ შეტევასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე.

4.13.3 წინამდებარე ხელსეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

4.14 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 12 კალენდარული თვის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება შემსყიდველის მიერ ჩაბარებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ განხორციელებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად.

5.1.1 მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ზე შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ----------

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ინვოისი

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ოთხ ეგზემპლიარად, რომლის სამი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაცია.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 40 (ორმოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

_ მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);

_ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.5. საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

ანგარისწორების ფორმა ავანსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი წესით:

6.3.1. ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს ---% მიმწოდებელს გადაერიცხება ავანსად მის მიერ შემსყიდველისათვის შემდეგი

დოკუმენტების წარდგენიდან 40 (ორმოცი) საბანკო დღეში:

- ავანსის მოთხოვნის წერილი;
- ინვოისი საავანსო თანხაზე;
- ავანსის უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია (6.4 პუნქტის პირობათა დაცვით), რომელიც გაცემული უნდა იყოს ბანკის მიერ, აშშ დოლარში, ავანსად გადასახდელი თანხის მთლიან ოდენობაზე და რომლის მოქმედების ვადა 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების განხორციელების საბოლოო ვადას. ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 40 (ორმოცი) საბანკო დღისა. ამ ვადაში ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში ანგარიშსწორება (100%) განხორციელდება 6.6 პუნქტის შესაბამისად.

6.3.2. ავანს(ებ)ის გადარიცხვისას ანგარიშსწორება განხორციელდება ავანს(ებ)ის გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით ეროვნულ ვალუტაში.

6.3.3. ავანსი გაიქვითება განხორციელებული მომსახურების ღირებულებიდან, ----%-ის ოდენობით გადარიცხული ავანს(ებ)ის პროპორციულად აშშ დოლარში, ავანს(ებ)ის გადარიცხვის დღისათვის არსებული კურსის შესაბამის ეროვნულ ვალუტაში.

6.3.4. განხორციელებული მომსახურების დარჩენილი ნაწილი (----%) მიმწოდებელს აუნაზღაურდება კონსიგნაციით, მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად (ფაქტიურად) შესრულების შემდეგ, მხარეთა შორის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1. მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 40 (ორმოცი) საბანკო დღის ვადაში შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

_ მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);

_ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული და ეროვნულ ვალუტაში'მიმწოდებელისათვის გადახდილი ავანსის დასაბრუნებელი /გამოუქვითავი/ ნაწილი ანაზღაურებულ /დაბრუნებულ/ უნდა იქნას შემსყიდველისათვის ქართულ ლარში, ბანკის მიერ გადარიცხვის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ამავე დროს, დასაბრუნებელი /გამოსაქვითი/ ავანსის თანხა არ უნდა იყოს შემსყიდველის მიერ მიმწოდებელისათვის ეროვნულ ვალუტაში გადარიცხული ავანსის მოცულობაზე ნაკლები. ამ პრინციპით გაანგარიშებული დასაბრუნებელი /გასაქვითი/ ავანსის გადარიცხულზე მეტობის შემთხვევაში, ნამატი თანხა სრულად დარჩება შემსყიდველს'დამატებითი შემოსავლის სახით.

6.5. შემსყიდველისათვის განხორციელებული მომსახურების ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება საშუალო შეწონილი ფასის გაანგარიშების პრინციპით, კერძოდ: ავანს(ებ)ის გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ერონული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსისა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღისათვის არსებული საქართველოს ერონული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შესაბამისი პროპორციით.

6.6 კონსიგნაციით ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება 6.3.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 40 (ორმოცი) საბანკო დღეში.

6.7 კონსიგნაციით ანგარიშსწორებისას მომსახურების ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.8 საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებული იქნება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული ბანკის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილ უნდა იყოს აშშ დოლარში და რომლის მოქმედების ვადაც 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების საბოლოო ვადას. (იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით).

7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1 პუნქტით დადგენილ ვადაში სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და გამოიყენებს უპირობოდ, დარიცხული პირგასამტეხლოს ფარგლებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა) შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ს /პროცენტი დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე/.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 %, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის /პროცენტი დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე/ ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირგასამტეხლოს ანაზღაურება არ მოხდება მიმწოდებლის მიერ 7.1 პუნქტით გათვალიწნებული საბანკო გარანტიიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაშინ პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 5%-ს /პროცენტი დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე/.

დანართი №4

№	ავტოსატრანსპორტო საშუალება	საბაზრო ღირებულება (ლარი)
1	**ავტომანქანა TOYOTA PRADO ტოიოტა პრადო** სარეგისტრ. ნომერი: MLM200; გამოშვების წელი: 2008; ფერი: შავი; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 4000 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEBU29J805142244	34 700,00
2	**ავტომანქანა TOYOTA CAMRY ტოიოტა კამრი** სარეგისტრ. ნომერი: BRB404; გამოშვების წელი: 2008; ფერი: შავი; ტიპი: სედანი; ძრავის მოცულობა: 2400 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTNBE40K703156405	15 000,00
3	**ავტომანქანა KIA SORENTO კია სორენტო** სარეგისტრ. ნომერი: NSN011; გამოშვების წელი: 2010; ფერი: რუხი 1/8; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 3500 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №KNAKU813DA5093795	18 500,00
4	**ავტომანქანა KIA SPORTAGE კია სპორტეიჯი** სარეგისტრ. ნომერი: VVU781; გამოშვების წელი: 2012; ფერი: რუხი 5/8; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 2400 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №KNAPC812DD7362158	32 400,00
5	**ავტომანქანა TOYOTA PRADO ტოიოტა პრადო** სარეგისტრ. ნომერი: LNL090; გამოშვების წელი: 2008; ფერი: შავი; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 2700 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEBL29J605132749	34 700,00
6	**ავტომანქანა HYUNDAI ჰიუნდაი** მოდელი: ELANTRA; სარეგისტრ. ნომერი: FXF685; გამოშვების წელი: 2012; ფერი: რუხი 1/8; ტიპი: სედანი; ძრავის მოცულობა: 1591 სმ3; საწვავის ტიპი: ბენზინი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №KMHDG41CACU477811	16 200,00
7	**ავტომანქანა TOYOTA HIGHLANDER ტოიოტა ჰაილენდერი** სარეგისტრ. ნომერი: VVU191; გამოშვების წელი: 2012; ფერი: ყავისფერი 2/8; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 3500 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEES42A102193451	50 900,00
8	**ავტომანქანა TOYOTA HIGHLANDER ტოიოტა ჰაილენდერი** სარეგისტრ. ნომერი: QFQ454; გამოშვების წელი: 2012; ფერი: რუხი 6/8; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 3500 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEES42A102195359	50 900,00
9	**ავტომანქანა TOYOTA CAMRY ტოიოტა კამრი** სარეგისტრ. ნომერი: TJT232; გამოშვების წელი: 2010; ფერი: შავი; ტიპი: სედანი; ძრავის მოცულობა: 2400 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTNBE40K403200053	18 500,00
10	**ავტომანქანა TOYOTA PRADO ტოიოტა პრადო** სარეგისტრ. ნომერი: BDB442; გამოშვების წელი: 2008; ფერი: შავი; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 2700 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEBL29J40K005015	34 700,00
11	**ავტომანქანა ტოიოტა პრადო** სარეგისტრ. ნომერი: VIP244; გამოშვების წელი: 2008; ფერი: შავი; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 2700 სმ3; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEBL29J305121143	34 700,00
12	**ავტომანქანა TOYOTA HIGHLANDER ტოიოტა ჰაილენდერი** სარეგისტრ. ნომერი: ZZG497; გამოშვების წელი: 2011; ფერი: შავი; ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის; ძრავის მოცულობა: 3456 სმ3; საწვავის ტიპი: ბენზინი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №JTEES42AX02192279	46 200,00
	ჯამი	**387 400,00**

შპს "აუდიტ-ცენტრის"
ექსპერტი — ნიკო დევიძე

შპს "აუდიტ-ცენტრის" დირექტორი,
სერთიფიცირებული აუდიტორი — ვაჟა ლალებაშვილი